

## თბილისი

№ 455/03

17 სექტემბერი 2013წ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ

“უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის შესაბამისად და “აბიტურიენტებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის უფლების მინიჭების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 29 ივლისის №421 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №699 ბრძანების გათვალისწინებით

ვბრძანებ:

I. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ინგლისურენოვან ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამაზე ჩარიცხულ იქნას საქართველოს მოქალაქე- ნიკოლოზ მაჭარაშვილი.

II. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ სტუდენტს ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა განესაზღვროს 2013 წლის 01 ოქტომბრამდე.

III. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ბრძანების გამოქვეყნება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

IV. ბრძანება ეგზავნება რექტორის მოადგილეს რ. ბერიაშვილს, მედიცინის ფაკულტეტის დეკანს თ. ჩიქოვანს, უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსს გ.

გიორგობიანს, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსს ი. ავალიანს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს ზ. ტალახაძეს, სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასებისა და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსს რ. რუხაძეს, ფინანსური რესურსების მართვის და აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსს ნ. მარიამიძეს, მთავარ ბუღალტერს ი. დოლიძეს.

V. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია

**რექტორი**